



„კაფკასეული“

შინაარსობრივი განზომილება: ლიტერატურიდან სამართლამდე

ლუკა ბარამიძე

სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტი

 <https://orcid.org/0000-0002-7779-2195>

I. შესავალი

ტერმინი „კაფკასეული“ (Kafkasque) სათავეს ფრანც კაფკას შემოქმედების შთამბეჭდავი და ამავე დროს, საზარელი ნარატივებიდან იღებს, რომელიც იმ რეალობას ასახავს, რომელშიც მის პერსონაჟებს უწევთ ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინის თავდაპირველი შინაარსი ლიტერატურული ხასიათისაა, დღეისათვის ის გაცილებით ფართო მნიშვნელობისაა. დროთა განმავლობაში „კაფკასეულმა“ ევოლუცია განიცადა, მხატვრული ფანტაზიის სფეროდან იურიდიულ სივრცეში გადავიდა და სამართლებრივი დატვირთვა შეიძინა. ის იმ სიმბოლოდ იქცა, რომელიც გამოხატავს მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის დეგრადაციას, გაუკუღმართებასა და აბსურდულობას. სწორედ ასეთი სისტემის მარნუხებში ექცევა ადამიანი და ადამიანურობისაგან დაცლილი, უსულო მანქანის წინააღმდეგ ბრძოლა უწევს. ამ ბრძოლაში „კაფკასეული“ ლიტერატურული ტერმინიდან სამართლებრივი კრიტიკის მოღვაწე იარაღად გარდაიქმნა.

ნაშრომი სწორედ ამ ტრანსფორმაციის აღწერასა და გამოვლენას ემსახურება. მისი მიზანია აღწეროს ტერმინის შინაარსობრივი განზომილებები: როგორ წარმოიშვა ლიტერატურულ სივრცეში და შემდეგ მოიკიდა ფეხი იურიდიულ კონტექსტში, როგორ გახდა შეფასების კრიტერიუმი მართლმსაჯულების ელემენტების მიმართ და რა ფორმით გამოიყენება აშშ-ში შტატებისა თუ ფედერალურ დონეზე, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განხილული კონკრეტული საქმეების მიმართ.

სტატია იკვლევს „კაფკასეულის“ ცნების შინაარსობრივ განზომილებებს ლიტერატურიდან სამართლებრივ დისკურსში გადასვლის პროცესში. „კაფკასეული“ არა მხოლოდ ასახავს და გამოხატავს სისტემის აბსურდულობასა და ირაციონალურობას, არამედ მიუთითებს იმ საშინელ უფსკრულზე, რომელიც ამ გაუკუღმართებულ სისტემასა და უბრალო მოქალაქეს შორის არსებობს. ნაშრომი საშუალებას იძლევა, შეფასდეს სამართლის სისტემის მარცხი როგორც კონცეპტუალურ ისე პრაქტიკულ დონეზე.

II. ტერმინ „კაფკასეულის“ ლიტერატურული მნიშვნელობა

ტერმინ „კაფკასეულის“ გააზრებისას ზოგი ავტორი ემყარება ოდენს, რომელმაც კაფკაზე აღნიშნა, რომ იგი განასახიერებდა ჩვენს ეპოქას, როგორც შექსპირი და დანტე თავიანთ ეპოქებს განსახიერებდნენ¹. კაფკა ისე ძალუმად დამკვიდრდა თანამედროვე აზროვნების ძირითად ნაკადში, რომ „კაფკასეულს“ დღეს ჩვეულებრივ, რუტინულ კონტექსტში იყენებენ ხოლმე გონებისთვის მიუწვდომელი ბიუროკრატიის აღსანიშნავად და ინდივიდის სასოწარკვეთის გამოსახატავად, რაც მას შიშის ზარდამცემი (თუ საზარელი) ინსტი-

¹ Mason, 2014, 4.

ტუტების წინაშე ეუფლება.² კაფკასეული აბსურდი და საზოგადოდ ტერმინ „კაფკასეულის“ ბუნება სათანადოდ არის აღწერილი კაფკას რომანში – „პროცესი“. ასევე, კაფკასეული აბსურდი დახატულია „გარდასახვაშიც“, კერძოდ, მის პირველივე სტრიქონში: „ერთ დილას, არეული სიზმრის შემდეგ გაღვიძებულმა გრეგორ ზამზამ აღმოაჩინა, რომ საზარელ მწერად გადაქცეულიყო“³. შესაძლებელია ცხოვრებაში შეხვდე დიკენსის ან შექსპირის პერსონაჟებს, მაგრამ ვერაფრით შეხვდები კაფკას გმირებს. მეორე მხრივ კი, ადამიანს შეიძლება ჰქონდეს კაფკასეული გამოცდილება, მაგრამ არავინ არ საუბრობს დიკენსისეულ ანდა შექსპირისეულ გამოცდილებაზე.⁴ კაფკას გმირები პარადოქსული გამოცდილების მქონე საეჭვო და დამახინჯებული რეალობის პერსონაჟებია.⁵ კაფკასეული ნარატივის მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ ხსნა არ არის! ამ სამყაროში ადამიანს მხოლოდ ბედის უკეთურობებთან კონფლიქტში არსებობა შეუძლია. პერსონაჟები აწყდებიან მატერიალიზებულ ძალაუფლებას; ზოგჯერ მათ უწევთ ცხოვრება უსასრულო სამართლებრივ სინამდვილეში (როგორც „პროცესში“). ხანაც სიკვდილით ისჯებიან (როგორც „სადამსჯელო კოლონიაში“).⁶ ეს ძალაუფლებები ანადგურებს ადამიანებს. კაფკას მიხედვით, არსებობს მიზანი, მაგრამ არ არსებობს მისკენ მიმავალი ბილიკი. სამყაროში ბევრი იმედია, მაგრამ არა ჩვენთვის, ადამიანებისთვის.⁷ მისი შემოქმედება ღია ფანჯარაა რეალობის უბედურებებში. კაფკა რეალისტია, მაგრამ ირჩევს წარმოსახულს, ფიქციურსა და მაგიურს, როგორც რეალობიდან თავის დასაღწევ საშუალებას. მისი ლიტერატურული უნი-

² იქვე.

³ კაფკა ფ., მეტამორფოზა, დ. კირკიტაძის თარგმანი, თბილისი, 2017, 1.

⁴ Potter, 2005, 5.

⁵ Figueiredo De Oliveira, 2017, 2.

⁶ იხ., კაფკა ფ., სადამსჯელო კოლონიაში, <<https://scroll.ge/27532/phrants-kaphka-sadamsjelo-k/>> [22.08.2025]

⁷ Figueiredo De Oliveira, 2017, 5.

ვერსუმი ფანტასტიკური ალეგორიაა, მაგრამ მასში რეალობასთან კონვერგენციები აღემატება გამოგონილს, ანუ მასში სინამდვილე უფრო მეტია, ვიდრე გამოწვანა. ის ნილას ხდის რეალობას თავის უტოპიურ ლიტერატურულ უნივერსუმში, ეწევა მის დეკონსტრუქციას, რათა მოახდინოს ამ რეალობის რეკონსტრუქცია. იგი აღწევს რუტინულ ურთიერთობებში და ამხელს მათ იმ აბსურდულობის საშუალებით, რომელიც ადამიანებზე ველარ ბატონობს. კაფკასეული აბსურდია სწორედ ის, რაც ფარდას ხდის თანამედროვე ადამიანის ილუზიებს. მკითხველისთვის ენიგმურია კაფკას შემოქმედება და საინტერესოა იმით, რომ ის ძალიან ჰგავს როგორც მოდერნის ისე პოსტმოდერნის მდგომარეობას.⁸

1991 წლის 29 დეკემბერს „თაიმსში“ გამოქვეყნდა ივანა ედვარდსის სტატია – „კაფკასეულის არსი“, რომელიც კარგად გამოხატავს კაფკასეულის ბუნებას, რას ნიშნავს ზედსართავი „კაფკასეული“ და რატომ არის ფრედერიკ რ. კარლი (ფრანც კაფკას კრიტიკული ბიოგრაფიის ავტორი) დარწმუნებული იმაში, რომ ამ სიტყვას არასწორად იყენებენ და ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მას ბოროტად იყენებენ.⁹ ამ მოვლენას თავისებურად უკავშირდება ის რეაქცია, რომელიც 2016 წელს ჰან კანგისთვის „ბუკერის“ ჯილდოს გადაცემამ გამოიწვია. მას ჯილდო მიენიჭა წიგნისთვის – „ვეგეტარიანელი“, რომლის მთავარ გმირს სურს, რომ ფესვები გაიდგას და ხედ იქცეს.¹⁰ წიგნის შეფასებისას ინგლისელმა გამომცემელმა გამოიყენა სწორედ ტერმინი „კაფკასეული“, რამაც ლექსიკონებსა და ცნობარებში ამ ტერმინის ძიების ახალი ტალღა გამოიწვია. თუმცა, იმავდროულად, წამოიჭრა შეკითხვა იმის თაობაზე, ხომ არ იყენებენ ამ ტერმინს ჭარბად

⁸ იქვე, 3.

⁹ Edwards, 1991, 1.

¹⁰ Flood, 2016.

(მეორე მხრივ, ეს ფაქტი ამ ტერმინისა და მასში მოაზრებული შინაარსის მნიშვნელობაზე მიუთითებს). ფრედერიკ კარლის თქმით, კაფკა მე-20 საუკუნის ის ლიტერატურული ფიგურაა, რომლის სახელი ყველა სხვა მწერლის სახელზე მეტად დამკვიდრდა ენაში.¹¹ „კაფკასეული“ კი ის მდგომარეობაა, როცა შედიხარ სიურეალურ სამყაროში, სადაც კონტროლის ყველა მექანიზმი, რომლითაც თქვენ ქცევებს განსაზღვრავთ, ნაწილებად იშლება, სადაც თქვენ ანაზღაურად აღმოჩნდებით იმ ძალის პირისპირ, რომელიც ანადგურებს სამყაროს თქვენეულ აღქმას.¹² „თქვენ არ ნებდებით, ფარ-ხმალს არ ყრით და არ კვდებით. იბრძვით თქვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით, მაგრამ არანაირი შანსი არ გაგაჩნიათ. ესაა კაფკასეული“. ის არის ზედსართავი სახელი, რომელიც „ჩვენი ეპოქის წარმომადგენელია.“¹³ იგი ერთი სიტყვაა, რომელიც ამბობს, თუ ვინ არიან ადამიანები, რას შეიძლება ელოდონ, როგორ მოქმედებს სამყარო და ყოველივე ამის გასაგებად თქვენ კაფკას კითხულობთ.¹⁴ სხვადასხვა ავტორს განსხვავებულად ესმის ეს ტერმინი, მაგრამ ყველა მათგანი ხაზს უსვამს ერთ საერთო მახასიათებელს, რომელიც გამოხატება სიტყვით – „კომმარული“, „კაფკასეული“ კაფკას კომმარული სამყაროს გამოხატულებაა.¹⁵ ტერმინი გასცდა ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის სფეროს, მყარად მოიკიდა ფეხი არა მარტო იურიდიულ ლიტერატურაში, არამედ სამართლებრივ პრაქტიკაშიც.¹⁶ მეტიც, დღეს მას ის ადამიანები იყენებენ, ვისაც კაფკას ნაწარმოებები არც კი წაუკითხავთ ან დიდი ხანია, რაც დავიწყებული აქვთ.¹⁷

¹¹ Edwards, 1991, 1.

¹² იქვე.

¹³ იქვე.

¹⁴ იქვე.

¹⁵ Teubner, 2019, 5.

¹⁶ Potter, 2005, 5.

¹⁷ Posner, 2009, 170.

III. ტერმინ „კაფკასეულის“ სამართლებრივი ევოლუცია

„კაფკასეულის“ სამართლებრივ ევოლუციაზე მსჯელობა სულ ცოტა ორი პოზიციიდანაა შესაძლებელი. ორივე მათგანს საფუძვლად უდევს კაფკას სამართლებრივი რეფერენციები.¹⁸ ერთი პოზიციის მიხედვით, ეს ევოლუცია იწყება კაფკას სახელის მოხსენიებით სამართლებრივ სივრცეში, ოღონდ ლიტერატურულ კონტექსტში. „კაფკასეულის“ ევოლუციის ბოლო ეტაპია არა მარტო მისი დამონმება, არამედ გამოყენება ახალი სამართლებრივი პრინციპების კონსტრუირებისთვის.¹⁹ ამასთან, ტერმინს ხანდახან სამართლებრივი რიტორიკის მიზნებისთვისაც იყენებენ. შეიძლება ითქვას, რომ როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევა სასამართლო დავაში დაცვის მხარეს უკავშირდება²⁰. და ბოლოს, ტერმინი „კაფკასეული“ ჩნდება მოსამართლეთა განსხვავებულ აზრებში. ამ უკანასკნელს შეიძლება ეწოდოს ტერმინ „კაფკასეულის“ საკუთრივ სამართლებრივი დამონმება.²¹

1. „კაფკასეული“ ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკაში

1.1. „კაფკასეული“ და ფედერალური სასამართლოები

კაფკას სახელი პირველად გამოიყენეს ფედერალურ დონეზე საქმეში – „შეერთებული შტატების დისისთერის წინააღმდეგ“. ბრალდებულმა, რომელმაც არ იცოდა ინგლისური, მოითხოვა მისთვის დაენიშნათ თარჯიმანი სახელმწიფოს ხარჯზე. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა იმ საფუძვლით, რომ პირს გადახდილი ჰქონდა გირაო. სასამართლოს შეფასებით, განსასჯელი არ იყო

¹⁸ Potter, 2005, 2.

¹⁹ იქვე 3.

²⁰ იქვე.

²¹ იხ., იქვე, 2-3.

ლატაკი და შეეძლო ადვოკატის აყვანა თავისივე ხარჯით. სააპელაციო საჩივარში მსჯავრდებული ამტკიცებდა, რომ მას უარი ეთქვა სამართლებრივ გარანტიებსა და სამართლიან სასამართლოზე. მოსამართლე ფეინბერგის შეფასებით: „სასამართლოს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ პროცესის წარმართვა იმ ენაზე, რომელსაც განსასჯელი არ ფლობდა, თავისი ხასიათით კაფკასებრი (Kafka-like) პროცესი იყო“.²²

საქმეში – „შეერთებული შტატები დოქერის წინააღმდეგ“ – მოსამართლე რაითი არ დაეთანხმა საოლქო სასამართლოს იმაში, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ დაურღვევია პირის უფლება სამართლებრივ გარანტიებზე, როცა უარი უთხრა მას პრობაციის ოფიცრის წინასწარი ანგარიშის გამჟღავნებაზე. მოსამართლე რაითის განსხვავებული აზრის მიხედვით, მსჯავრდებული ან განსასჯელი არ უნდა იქცეს „კაფკასეული“ ფარული პროცედურის მსხვერპლად.²³ ჰიუზის საქმეში მისმა ადვოკატმა ვერ დაარწმუნა მოსამართლე ჰარლანდი იმაში, რომ ის ამბავი, რაც მის კლიენტს დაემართა, სხვა არაფერი იყო, თუ არა „კაფკასეული“; მისი შუამდგომლობა, კლიენტის აღიარებითი ჩვენების უკან გამოხმობის შესახებ მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.²⁴ გადანყევტილება იმითაა გამორჩეული, რომ კაფკას სასამართლო კი არა, არამედ მხარის წარმომადგენელი იმონმებს თავის არგუმენტაციაში.²⁵ „აიზელი თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“ გამორჩეულია იმით, რომ ტერმინი დამონმებულია იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ იჩენენ მოსამართლეები საერთო ღირებულებებისადმი ერთგულებას რაციონალური გადანყევტილების მიღების პროცესში.²⁶ სასა-

²² United States v. Desister, 384 F.2d 889 (2d Cir. 1967).

²³ United States v. Dockery, 417 F.2d 330 (4th Cir. 1969).

²⁴ U.S. v. Hughes, 54 U.S. 7 (1851).

²⁵ Potter, 2005, 8.

²⁶ Eisel v. Secretary of the Army. 477 F.2d 1251 (1973).

მართლო ცდილობს მოსარჩელეს თავიდან აარიდოს იოზეფ კ-სავით სასამართლოდან სასამართლოში სიარული.²⁷

ნოტორიანის საქმეში საპირისპირო ვითარებაა. მსჯავრდებულს აეროპორტში აჩერებს სახელმწიფო მოხელე, რომელიც აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ის ხელმძღვანელობს ნარკოგამოძიებას და მოითხოვს მისგან ბარგის ჩხრეკაზე უფლებას. ბრალდებული თანხმდება და აგენტი მის ბარგში ნარკოტიკს აღმოაჩენს.²⁸ სასამართლო მიუთითებს, რომ იოზეფ კ-სგან განსხვავებით, ბრალდებული ნოტორიანი სრულად იყო ინფორმირებული მის წინააღმდეგ წარმოებული პროცედურის ბუნების თაობაზე. ამ შემთხვევაში სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ბრალდებულის წინააღმდეგ.²⁹

ხშირია ტერმინ „კაფკასეულისა“ და კაფკას ნაწარმოებების გამოყენება ანალიტიკოსებისა და კომენტატორების მიერ როგორც ფედერალურ, ასევე შტატების დონეზე განხილული საქმეების მიმართ, რასაც ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის ბუნების გააზრებისა და სამართლებრივ პრაქტიკაში მისი ადეკვატურად გამოყენების თვალსაზრისით. „კაფკასეულის“ გამოყენების ამ ჟანრს შეიძლება კონტექსტუალური ენოდოს. სახელმწიფო საიდუმლოებაზე მითითების საფუძვლით ხალიდ ალ მასრისთვის სხვა სახელმწიფოსთვის მისი გადაცემის წინააღმდეგ აპელაციაზე უარის თქმით სასამართლომ პირს მოუსპო სამართლებრივი დაცვის ყოველგვარი საშუალება.³⁰

ტერმინ „კაფკასეულის“ იურიდიული კომენტარის გამოყენების ნიმუშია მისი გამოყენება ბოულზისა და რასელის საქმის კონტექსტში. დორფმა მას უმაღლესი სასამართლოს ყველაზე კაფკა-

²⁷ Finet, 1988, 7

²⁸ U.S. v. Notoriann. 729 F.2d 520 (7th Cir. 1984).

²⁹ Finet, 1988, 8

³⁰ El-Masri v. U.S. 479 F. 3d 296 (4th Cir. 2007).

სეული გადანყვეტილება უნოდა. აღსანიშნავია, რომ იგი ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხს, იურიდიულ ვადებს, ეხება, რასაც ყველაზე ხშირად აფარებს თავს „კაფკასეული“.³¹ უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ფედერალურ სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა იურისდიქცია, განეხილა საჩივარი ჰაბეას კორპუსის თაობაზე, რადგანაც საჩივარი შეტანილ იქნა ორი დღის დაგვიანებით. თუმცაღა დოკუმენტმა რეგისტრაცია გაიარა ერთი დღით ადრე, ვიდრე ფედერალური მოსამართლე მომჩივანს (შეცდომით) ეტყოდა, რომ რეგისტრაციის ვადა დაცული იყო. ამით ბოუელმა დაკარგა ბოლო შანსი, ფედერალურ სააპელაციო სასამართლოს შეეფასებინა გარემოებები, რაც პირს 15 წლით თავისუფლების აღკვეთად ანდა სამუდამო პატიმრობად უჯდებოდა. დორფის მტკიცებით, სამართლის არცერთი სისტემა არ ფუნქციონირებს ვადების გარეშე და ზოგჯერ ვადების დარღვევა გარდაუვალ უსამართლობას იწვევს მართლმსაჯულების აღსრულებაში. ზემოაღნიშნულ საქმეში უმაღლესობის მოსაზრება მოსამართლე კლარენს თომასმა დაწერა, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, თავი აერიდებინა „სამართლის ქმნისთვის“. ავტორის შეხედულებით, ეს მოსაზრება არის სამართლებრივი ფორმალიზმის „reduction ad absurdum“ და ერთმნიშვნელოვნად კაფკასეულია.³² ბოულზის საქმის ფაქტები და გარემოებები საოცრად ჰგავს შემზარავ ალეგორიას ფრანც კაფკას ბნელი რომანის ბოლოსწინა თავში შეშლილობით შეპყრობილი ბიუროკრატიული სახელმწიფოს სასამართლო პროცესის შესახებ.

1.2. „კაფკასეულის“ გამოყენება შტატების დონეზე

კაფკას ხშირად იმონებენ ვაშინგტონის, ნიუ იორკის და ჩიკაგოს სასამართლოები, მაგრამ როგორც ექსპერტები წერენ, საგანგა-

³¹ Bowles v. Russell. 551 U.S. 205, 127 S. Ct. 2360 (2007).

³² Dorf, 2007.

შოა ის, რომ კაფკას ბევრი მიმდევარი ჰყავს ოქროს შტატის, კალიფორნიის სასამართლოებში. ამ მხრივ მრავლისმეტყველია კაფკას დამონმების დინამიკა მიმდინარე საუკუნის დასაწყისისთვის. 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის კაფკას დამონმების მხრივ ყველაზე ნაყოფიერი იყო კალიფორნიის სააპელაციო სასამართლო – 25 დამონმება 20 სხვადასხვა მოსამართლის მიერ; მე-2 ადგილზე იყო კონექტიკუტის სააპელაციო სასამართლო – 12 დამონმება; მესამეზე – ნიუ იორკის უმაღლესი სასამართლოს სააპელაციო განყოფილება – 20 დამონმება; შტატების უმაღლეს სასამართლოებს შორის პირველი იყო კოლუმბიის ოლქის სასამართლო (15 დამონმება 8 მოსამართლის მიერ), მას მოჰყვება ილინოისის შტატის ჩრდილოეთის რაიონის სასამართლო (10 დამონმება 6 მოსამართლის მიერ). 1960-იან წლებში კაფკას სახელი მხოლოდ სამჯერ გამოჩნდა აშშ-ის სასამართლოებში, 1970-იან წლებში კი იგი უკვე 42-ჯერ დაიმონმეს, 1980-იანებში ეს რიცხვი გასამმაგდა, როცა კაფკაზე 142-ჯერ მიუთითეს. 1990-იან წლებში ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა და 161-მდე ავიდა.³³

მოსამართლე კენედის თქმით, ყველა იურისტმა უნდა წაკითხოს კაფკას „პროცესი“, რათა კლიენტების თვალთ დანახოს, თუ როგორ აღიქვამს ის მართლმსაჯულებას.³⁴ კაფკას სახელი არა მარტო მკვიდრად აღიბეჭდა საზოგადოების ცნობიერებაში, არამედ მისი ნაწარმოებებიდან მოსამართლეებს ხშირად მოჰყავთ ამონარიდები. კაფკას არ მოუხდენია ამერიკულ სასამართლოებზე პირდაპირი ზეგავლენა. აშშ-ის სასამართლომ პირველად დაიმონა კაფკა მისი გარდაცვალებიდან თითქმის 40 წლის შემდეგ.³⁵ კაფკას ორგვარად

³³ იხ., Potter, 2005, 3.

³⁴ Mason, 2014, 9.

³⁵ იქვე.

მოიხმობენ: კაფკასებრი (Kafka-like) და კაფკასეული (Kafkaesque), თუმცა ამ უკანასკნელს გაცილებით ხშირად მიმართავენ.³⁶

ამერიკულ სასამართლო პრაქტიკაში კაფკა პირველად 1963 წელს დაიმონმეს, შემდეგ წლებში კი მითითებები სწრაფი ტემპით მატულობს და ეს პროცესი შეუწელებლად მიმდინარეობს. ამერიკელი მოსამართლეები განსაკუთრებულ გულისხმიერებასა და კრეატიულობას იჩენენ ამ მხრივ. ამას ნაწილობრივ მათ მიერ განხილული რეალური ცხოვრების საზარელი საქმეები განაპირობებს.³⁷

კოლეტის საქმეში ორი პირი ასაჩივრებს თავიანთ განაჩენს და ამტკიცებს, რომ მათ არ გააჩნდათ სამართლებრივი გარანტიები და ჩამორთმეული ჰქონდათ უფლება სამართლიან სასამართლოზე, რადგანაც სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მათთვის იმ ჩვენებათა ოქმების მიწოდება, რომლებიც მონმეებმა დიდ ჟიურის მისცეს. მოსამართლემ განმარტა, რომ ასეთი ჩანაწერების წარმოების ვალდებულება აუცილებლად გამოიწვევდა კაფკასებრ სიზმარს, რომელშიც პოლიციის განყოფილებები და პროკურორის ოფისები კლერიკულ ცენტრებად/კანტორებად გადაიქცეოდა, რომლებიც მონმეთა ჩვენებებს იწერს შემდგომში დაცვის მხარისთვის მათ გადასაცემად.³⁸ ეს არის კაფკას დამონმების უცნაური შემთხვევა. მანამდე ყველა დამონმება ხაზს უსვამდა „კაფკასეულ კომმარს“, რაც თავიდან უნდა აიცილოს სასამართლომ. მოსამართლე მორანის მიერ კაფკას მოხმობა კი გულისხმობს სასამართლოსთვის კაფკასებრი სიზმრის თავიდან აცილებას.³⁹

„ბანგორ პუნტასა“ და „ქრის-ქრაფტს“ შორის გააფთრებული ბრძოლა მიდიოდა იმაზე, თუ ვის ეკუთვნოდა კონტროლი “Piper Aircraft Corporation”-ზე. საქმე „ბანგორ პუნტამ“ მოიგო, თუმცა მო-

³⁶ იქვე, 6.

³⁷ იქვე, 3.

³⁸ People v. Colletti. 242 N.E.2d 63.

³⁹ Potter, 2005, 10.

წინააღმდეგე მხარემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა. „ბანგორ პუნტამ“ შეგებებული საჩივარი წარადგინა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ მოწინააღმდეგე კორპორაციის არასწორი ქმედებების გამო მას მოუწია იმაზე ბევრად მეტის გადახდა მილსადენზე კონტროლისთვის, ვიდრე ამგვარი ქმედებების გარეშე დაუჯდებოდა.⁴⁰ მოსამართლემ კაფკაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ „ქრის-ქრაფტის“ საჩივრის გამო საქმემ სრულიად ფანტასტიკური ხასიათი შეიძინა და „კაფკასეულ ლოგიკას“ დაექვემდებარა.⁴¹ უაითის საქმეში „კაფკასეული“ პირველად მოიხსენიეს უკვე მოსამართლის განსხვავებულ აზრში. მომჩივანი უჩიოდა კალიფორნიის შტატს იმასთან დაკავშირებით, რომ კრიმინალური იდენტიფიკაციისა და გამოძიების ბიუროს თანამშრომლებმა დაუდევრობა გამოიჩინეს და მცდარი ინფორმაცია გაავრცელეს მომჩივნის შესახებ. მცდარი ინფორმაცია 1941 წელს შეიტანეს მომჩივნის საქმეში, მაგრამ 1967 წლამდე ამის შესახებ ინფორმაცია არ არსებობდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი როგორც აბსოლუტური, ისე პირობითი პრივილეგიის არარსებობის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ კი მიიჩნია, რომ მომჩივნებს უფლება ჰქონდათ მოეთხოვათ მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვა.⁴² მოსამართლე ფრიდმანის შეფასებით, ამერიკული საზოგადოება ორუელისეული, ყველაფრის მხედველი, პოლიციური სახელმწიფოს მიმართულებით ვითარდებოდა, რომელიც არღვევს ინდივიდის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ფაქტობრივად, მოსამართლე ბრალს სდებდა სამართლის იმდროინდელ სისტემას, რომელიც ადამიანს იძულებულს ხდიდა გაუთავებლად ევლო უწყებიდან უწყებაში. ფრიდმანის

⁴⁰ *Bangor Punta Corp v. Chris-Craft Industries, Inc.*, 337 F. Supp. 1147, 1149 (S.D.N.Y. 1971).

⁴¹ *Potter*, 2005, 14.

⁴² *White v. State*. 95 Cal. Rptr. at 176.

მიერ დახატული მდგომარეობა ძალზე წააგავს იოზეფ კ.-ის მდგომარეობას კაფკას „პროცესიდან“.⁴³

ცაითლინის გადაწყვეტილებაში კაფკას მეორე დამოწმება არ არის რიტორიკული. საქმე ეხება ჰენრი მილერის რომანის – „კირჩიბის ტროპარის“ – უხამსობის დადგენას. სასამართლომ ერთსულოვნად მიიჩნია, რომ რომანი არ არის უხამსი. მოსამართლე ტობრინერის დახასიათებით, წიგნი გამოხატავს ავტორის შეხედულებებს უალრესად პრიმიტიული ასპექტით, რომელიც ხშირად იყენებს უხამს გამოთქმებს. მისი თქმით, რომანი არის გროტესკული, არატრადიციული თავისი ფორმით. მოსამართლე იშველიებს ერთი ლიტერატურული ისტორიკოსის აზრს, რომლის მიხედვითაც, თანამედროვე რომანი არის „მახინჯი“, რომელიც წინ უსწრებს რომანის ევფონურ, მომხიბლავ ფორმებს, რამაც განაპრობა პიკასოს, კაფკასა და ჯოისის ნაწარმოებების წარმოშობა.⁴⁴ ბევრმა მოსამართლემ დაიმოწმა კაფკა არა რიტორიკულ, არამედ ლიტერატურულ, სახელოვნებო კონტექსტში.⁴⁵

შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლეები კაფკას ხშირად მაშინ იმონებენ, როცა არ ეთანხმებიან სხვა სასამართლოების გადაწყვეტილებებს.⁴⁶ ზოგ შემთხვევაში სამართალშემფარდებლებს თავიანთ საქმეებში არ შეაქვთ კაფკას სახელი, არამედ მიაჩნიათ, რომ მათი საქმეები კაფკას სამყაროს შემადგენელი ნაწილია. კაფკას დამოწმების ყველაზე მარტივი გზაა, როცა მისი გვარიდან ზედსართავს („კაფკასეული“) აწარმოებენ. აშშ-ის იურიდიულ სივრცეში კაფკას სახელის გამოყენების პირველი 10 შემთხვევიდან 8-ში გამოყენებულია სწორედ ზედსართავი სახელი „კაფკასეული“ ან „კაფკასეური“.⁴⁷ იუ-

⁴³ Potter, 2005, 12.

⁴⁴ Zeitlin v. Arnebergh. 59 Cal.2d 901 (Cal. 1963)

⁴⁵ Potter, 2005, 8.

⁴⁶ იქვე, 21.

⁴⁷ იქვე, 6.

რიდიულ აზრებში ისეთი გამოთქმებიცაა, როგორიცაა, „დაუშვებელია ასეთი კაფკასეული სიტუაცია“, „ეს ჭეშმარიტად კაფკასეულია“, „კაფკასეულის ელფერი დაჰკრავს“, მაგრამ ამგვარი გამოთქმები არაფრის მთქმელ ფრაზებადაა მიჩნეული. ინფორმაციულობის თვალსაზრისით, უფრო ნაყოფიერია „კაფკასეულის“ სინონიმურად გამოყენება: „უცნაური და კაფკასეული“, „ირონიული, კაფკასეულიც კი..“, „...ეს რეალობის კაფკასეული გაუკუღმართება“ და ა.შ.⁴⁸ კიდევ უფრო ინფორმაციულია ისეთი გამოთქმები, რომლებიც რაღაცას აღწერს (მაგ. „კაფკასეური სიზმარი“ ანდა „ფარული სისხლის სამართლის პროცესის მსხვერპლი“). ასეთი გამოთქმებიდან ჩანს, რომ მოსამართლემ შეიძლება არ იცოდეს „კაფკასეულის“ სალექსიკონო მნიშვნელობა, მაგრამ ეს გამოთქმები კარგად გამოხატავს კაფკას ღირსახსოვარი ნაწარმოებების იურიდიულ შეფასებას.⁴⁹

მოსამართლეები ხშირად ხშირად იყენებენ ტერმინ „კაფკასეულს“ სახელმწიფო ორგანოების თვითნებური და რეპრესიული მოქმედების დასახასიათებლად. ჰანტის საქმეში ჰანტი უზომო ბიუროკრატიული ძალაუფლების, კაფკასეული კოშმარის მსხვერპლია.⁵⁰ აბდელ-მუთის შემთხვევაში ეს უკანასკნელი იმიგრაციის სააგენტოს მიღებული გადაწყვეტილების გამო აბსურდული გარემოების ტყვეობაში აღმოჩნდა.⁵¹ ნგვენიას საქმეში აპლიკანტები კაფკასეული პროცედურის წნეხის ქვეშ მოექცნენ.⁵² ამგვარად, შეიძლება ითქვას, როგორც ფედერალურ ისე შტატების დონეზე ვლინდება გარკვეული მსგავსება კაფკასეულ სამართლის სისტემასა და აშშ-ის მართლმსაჯულების სისტემას შორის, რომელზეც მიუთი-

⁴⁸ იქვე, 20.

⁴⁹ იქვე.

⁵⁰ Hunt v. Indiana. 790 N.E.2d 630.

⁵¹ Abdel-Muhti v. Ashcroft. 314 F. Supp. 2d 418 (M.D. Pa. 2004).

⁵² Ngwanayia v. Ashcroft. Civil No. 02-502 (RHK/AJB) (D. Minn. Feb. 12, 2004)

თებენ მოსამართლეები და კომენტატორები. საქმე ეხება სისტემის მზარდი ბიუროკრატიზაციის ტენდენციას და გაუკუღმართებულ ბიუროკრატიულ ლოგიკას, რომლის საფუძველზეც იღებენ გადაწყვეტილებებს. ნიშანდობლივია, რომ „კაფკასეულს“ მიმართავენ როგორც მოსარჩელის (მომჩინის) ინტერესების, ისე სასამართლო სისტემის დასაცავად, რაც ტერმინის კონცეფციის მართლმსაჯულების სტანდარტად ქცევის მზარდ ტენდენციას გამოხატავს. ეს კი ისეთი სამართლის სისტემის ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა, რომელიც ლიბერალურ დემოკრატიასა და საერთო სამართლის ტრადიციებს ემყარება.

2. „კაფკასეული“ და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლო

„კაფკასეულის“ ევოლუციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებშიც ის მიუთითებს კაფკასეულ ელემენტებზე ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში.

საქმეში – „ო'კიფი ირლანდიის წინააღმდეგ“ – მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა იმის თაობაზე, რომ 1973 წელს ნაციონალური სკოლის მასწავლებელმა მასზე სექსუალურად იძალადეს. იმ დროს მოსარჩელე იყო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, მაგრამ კათოლიკური ეკლესიის მფლობელობისა და მმართველობის ქვეშ მყოფი ნაციონალური სკოლის მოსწავლე. მოსარჩელეს თავის დროზე არ უცნობებია განათლებისა და მეცნიერების სათანადო განყოფილებისთვის. 1998 წელს მოძალადე მასწავლებელი გაასამართლეს და პატიმრობა მიუსაჯეს. ო'კიფმა მიიღო შესაბამისი ანაზღაურება. მან სარჩელი შეიტანა ზოგიერთი სახელმწიფო ორგანოს კონსტიტუციური პასუხისმგებლობის თაობაზე, რომელიც სასამართლომ არ დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ ირლანდიის კონსტიტუცია

ითვალისწინებდა უფლებამოსილების გადაცემას. მოცემულ შემთხვევაში სკოლის მართვა გადაცემული ჰქონდა მენეჯერს, რომელიც მოქმედებდა არა როგორც სახელმწიფო მოხელე, არამედ როგორც ეკლესიის ფუნქციონერი.⁵³ მოსარჩელემ მიმართა ევროპულ სასამართლოს ირლანდიის სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელმაც, მისი მტკიცებით, ვერ შეძლო შეექმნა დაწყებითი განათლების ისეთი სისტემა, რომელიც მას ძალადობისგან დაიცავდა. რაც შეეხება საქმის არსებით მხარეს, სასამართლომ განაცხადა, რომ უფლებამოსილების დათმობა კერძო პირების თუ ეკლესიის სასარგებლოდ სახელმწიფოს არ ათავისუფლებს მოწაფეთა დაცვის ვალდებულებებისგან. განსხვავებულ აზრში, რომელსაც ხელს აწერს ოთხი მოსამართლე, ნათქვამია: „ჩვენ არ ვეთანხმებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დღევანდელი გაგების რეტროსპექტულ გამოყენებას დაახლოებით ორმოცი წლის წინანდელ სიტუაციასთან მიმართებით. კაფკასეულია ირლანდიის ხელისუფლების დადანაშაულება იმ მოთხოვნებისა და სტანდარტების შეუსრულებლობის გამო, რომლებიც თანდათანობით იქნა შემუშავებული, მხოლოდ მომდევნო ათწლეულებში, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიერ“⁵⁴. ცხადია, რომ კაფკასეული მდგომარეობის თავიდან ასარიდებლად, აუცილებელია, სახელმწიფო ეფექტიანად იყენებდეს არსებულ პრეცედენტულ სამართალს და ერთმნიშვნელოვნად ასრულებდეს თავის მოვალეობას. ამ წინაპირობის გარეშე შეუძლებელი იქნება ბავშვების დაცვა, რომელთა უფლებების დარღვევის რისკი ცნობილი იყო ანდა ცნობილი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ორგანოებისთვის. სახელმწიფოს დაცვა კაფკასეული მდგომარეობის შექმნაში ამ პროცესის მხოლოდ ერთი მხარეა. მაგრამ, მეორე მხრივ, ბავშვებზე ძალადობის ფაქტების არცოდნაზე აპელირება

⁵³ O’Keeffe v. Ireland [ECtHR], App. No. 35810/09, 28 January 2014.

⁵⁴ იქვე.

მხოლოდ ხელს უწყობს კაფკასეული მდგომარეობის შექმნას. თუმცა არ იქნებოდა მართებული იმის უარყოფა, რომ მოცემული საქმის ანალიზი ადასტურებს ტერმინ „კაფკასეულის“ სამართლებრივი ევოლუციის ფაქტს.

რეგნერის საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის უფლებების შეზღუდვა ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასამართლოების უფლებამოსილებას, სრულად განეხილათ მათ წინაშე არსებული დოკუმენტები და შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლებით უზრუნველყოფილი დაცვის არსი შელახული არ ყოფილა, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი არ დარღვეულა.⁵⁵ გარდა ამისა, მთავრობამ დასძინა, რომ „სადაზვერვო სამსახურის მიერ შენახული ფაილი ან მისგან მიღებული დოკუმენტები პირდაპირ არ იყო გაგზავნილი ხელისუფლების ორგანოში და შემდგომ სასამართლოებში, არამედ ფაილის შესაბამისი შინაარსი იყო შეჯამებული ანგარიშში“. ამ მოვლენების მკაფიო კაფკასეული შეფერილობა არ არის პრადის მსგავსი სტერეოტიპების არტეფაქტი; ფაქტობრივად, თავად ჩეხეთის ზედა ინსტანციის სასამართლოებმა მოგვიანებით შეიმუშავეს და ჩამოაყალიბეს განხილვის მტკიცე სტანდარტი, რომელიც არ არის დაცული განსახილველ საქმეში.⁵⁶ „განხილვის მტკიცე სტანდარტის“ დაცვა, რომელზეც ამ შემთხვევაში საუბარია, მნიშვნელოვანი მომენტია არა მარტო სამართლიანი სასამართლოს უფლებით უზრუნველყოფილი დაცვის ასპექტით, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვანია როგორც „კაფკასეულის“ სამართლებრივი ევოლუციის, ისე მისი მართლმსაჯულების სტანდარტად განხილვის ასპექტითაც.

აღ დუღიმის საქმე შეეხებოდა მოსარჩელისთვის სანქციების რაოდენობის გაზრდას. განმცხადებლებს, რომლებიც ამაოდ ცდი-

⁵⁵ Regner v. The Czech Republic [ECtHR], App. No. 35289/11, 19 September 2017.

⁵⁶ იქვე.

ლობდნენ შვეიცარიის სასამართლოებში გაესაჩივრებინათ მათი აქტივების კონფისკაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, შეეზღუდათ სასამართლოზე წვდომის უფლება. შეზღუდვას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი – მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების შენარჩუნება. ეროვნული სასამართლოების, მათ შორის, ფედერალური სასამართლოს, უარი არსებითად განიხილონ მომჩივნების საჩივრები აქტივების ჩამორთმევის შესახებ, მოტივირებული იყო მათი სურვილით, უზრუნველყოთ შიდა დონეზე, რეზოლუციიდან გამომდინარე ვალდებულებების ეფექტური შესრულება. დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა აქტივების გაყინვას და ქონების კონფისკაციას, არ იყო მიღებული რაიმე გარდაუვალი ტერორისტული საფრთხის საპასუხოდ, არამედ მიემართებოდა ერაცის მთავრობის ავტონომიისა და სუვერენიტეტის აღდგენისა და ერაცელი ხალხისთვის თვითგამორკვევის უფლების უზრუნველყოფას.⁵⁷ მიზანმიმართული სანქციების წინაშე მდგომი პირებისადმი განსხვავებული მიდგომების აშკარა საფუძვლის არარსებობის პირობებში სანქციების რაოდენობის თვითნებური გაზრდა კიდევ უფრო ამძიმებს იმ ინდივიდების მდგომარეობას, რომლებიც ამოიღეს „ალ-ქაიდასთან“ კავშირისთვის დასაწესიერების კანდიდატთა „პირველი კლასის“ სიიდან და შეიყვანეს „მეორე კლასის“ სიაში. ეს ყველაფერი ემსახურება იმას, რომ შესაბამისი ინდივიდები კაფკასეული წამების მანქანის კერძად იქცნენ.⁵⁸ საქმის ანალიზი ცხადყოფს, რომ კაფკასეული მდგომარეობის თავიდან ასარიდებლად აუცილებელია ნორმატიული თანამიმდევრულობის უზრუნველყოფა. ამგვარი თანამიმდევრულობის აზრი კი იმაში მდგომარეობს, რომ გაეროს უშიშროების საბჭო უნდა იზიარებდეს ადამიანის უფლებათა იმავე ღირებულებებს, რასაც ადამიანის უფლებათა

⁵⁷ *Al-Dulimi and Montana Management inc. v. Switzerland* [ECtHR], App. No. 5809/08, 21 June 2016.

⁵⁸ იქვე.

ევროპული სასამართლო აღიარებს. ეს შესაძლებელს გახდის ნორმატიული კონფლიქტის თავიდან არიდებას. ტერმინ „კაფკასეულის“ სამართლებრივი ევოლუციის თვალსაზრისით გააფართოებს „კაფკასეულის“ გამოყენების არეალს, რაც ხელს შეუწყობს მისი მართლმსაჯულების სტანდარტად ქცევის ტენდენციას.

ილზნეერის საქმეში მომჩივანს რეგიონულმა სასამართლომ მიუსაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სექსუალური მოტივით მკვლელობისთვის. შემდგომში მას პატიმრობა გაუხანგრძლივდა 2012 წლის 3 აგვისტოს რაიონული სასამართლოს მიერ წარდგენილი ფსიქიატრიული ანგარიშების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით, რომელიც მიუთითებს მაღალ რისკზე, რომ გათავისუფლების შემთხვევაში მსჯავრდებული ისევ ჩაიდენს სერიოზულ სექსუალურ და ძალადობრივ დანაშაულს. ამასობაში ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ წინასწარი პატიმრობის გაგრძელებისა და მისი, როგორც აღკვეთის ღონისძიების, შემდგომი გამოყენების შესახებ დებულებები არაკონსტიტუციურად ცნო. სასამართლომ აღნიშნა, რომ ტიპურ კაფკასეულ სიტუაციაში ფსიქიკური აშლილობა, პრაქტიკულად გაიგივებულია დაკავებულისგან მომდინარე საშიშროებასთან. ფსიქიკური დაავადება არ არის წინასწარი პატიმრობისთვის ზოგადი მოთხოვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობენ როგორც ფსიქიკური მდგომარეობის მქონე დანაშაულები, ისე ამგვარი აშლილობის არმქონე ბოროტმოქმედები. იგი ასევე მიუთითებს წრიული მსჯელობის რისკზე ამ საკითხთან დაკავშირებით. ამასთანავე, პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, გამოყენება ხშირად შეუთავსებელია ადამიანის უფლებებთან. ამგვარი შეუთავსებლობის მიზეზი კი შეიძლება იყოს ის, რომ ეს ცნება საკმაოდ ფართოა და ხშირად არ მოიცავს წინასწარი პატიმრობის პრაქტიკას. ამ საკითხთან მიმართებით ხშირად ხდება მსჯავრებულიდან მომდინარე საფრთხეებზე აპელირება, მაგრამ

საფრთხის ცნებაც, როგორც წესი, ბუნდოვანია. ამგვარი ბუნდოვნება კი არცთუ იშვიათად კაფკასეულ მდგომარეობას წარმოშობს. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს კონცეპტუალური საზღვრების დადგენას კაფკასეულის პრევენციისთვის.⁵⁹

ამგვარად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გარკვეულ შემთხვევებში განმარტების სტანდარტად იყენებს „კაფკასეულს“. ეს კი, გარდა იმისა, რომ კაფკასეულის მართლმსაჯულების სტანდარტად ქცევის მზარდ ტენდენციაზე მიუთითებს, იმასაც აჩვენებს, რომ იგი შეიძლება განხილულ იქნეს ცოცხალი ინსტრუმენტის დოქტრინის კონტექსტში, რომელიც საკითხს არა ევროკონვენციის ხელმომწერთა თუ შემქმნელთა ჩანაფიქრის, არამედ დღევანდელი გარემოებების პრიზმაში განიხილავს.

3. „კაფკასეულის“ გამოყენება მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა კონტექსტში

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში „კაფკასეულის“ გამოყენების მხრივ საინტერესოა ე.წ. „კადის“ საქმე, რომელიც პარადიგმატულია თავისი ხასიათით.⁶⁰ საქმეები *Kadi I* (2008) და *Kadi II* (2013) ერთგვარ დაპირისპირება იყო საერთაშორისო და ევროპულ სამართალს შორის. საქმე ეხებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ იუსუფ კადის მიმართ დანესებულ სანქციებს, კერძოდ, მისი აქტივების გაყინვას ტერორიზმთან კავშირის ბრალდებით. კადიმ გადაწყვეტილება გაასაჩივრა და აღნიშნა, რომ სანქციები დაწესდა ყოველგვარი გამჭვირვალობისა და სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობის გარეშე. ევროკავშირის სასამართლომ პირველად დაადგინა, რომ ფუნდამენტური უფლებების დაცვა უმაღლესი ღირებულებაა და ევროკავშირის სამართალი არ შეიძლება ავტომა-

⁵⁹ იხ., *Inseher v. Germany* [ECtHR], App. Nos. 10211/12 and 27505/14, 4 December 2018.

⁶⁰ Kokott, Sobotta, 2012, 1.

ტურად დაემორჩილოს გაეროს გადაწყვეტილებებს; მეორე საქმეში კი ეს პრინციპი განმარტა და გაამყარა. კრიტიკოსებმა მასში სასამართლოს მიერ ნაციონალისტური ტრადიციისადმი ერთგულება დაინახეს.⁶¹ 2008 წელს ლუქსემბურგმა ძალაში დატოვა კადის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები (მისი აქტივების გაყინვა), რის მიზეზადაც დაასახელა ის, რომ სასამართლო ვერ უზრუნველყოფდა კადისთვის ეფექტიან სამართლებრივ დაცვას. კადის საქმე ზოგადად განიხილება როგორც ინსტიტუციური კონფლიქტი, რის შედეგადაც მოსარჩელე კავკასიული მართლმსაჯულების მსხვერპლად იქცა. ამ საქმემ, ასევე, ხელი შეუწყო ზოგადად მართლმსაჯულების სისტემებისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების გამოვლენას.⁶² კადი არა მხოლოდ უაღრესად მნიშვნელოვანი შემთხვევაა უამრავი შიდა სისტემური დოქტრინული პერსპექტივიდან, არამედ ასევე სასარგებლოა ამ შემთხვევის შესწავლა თავად სამართლის ბუნების გამოსაკვლევად. კადის საგა აჩვენებს სამართლებრივი სისტემის უნარს, გამოიტანოს სამართლიანი შედეგები უსამართლო კანონების ფონზე, ასევე მის პოტენციალს, რომ უფრო რთულ და ფრაგმენტულ სამართლებრივ კონსტელაციაში, გააძლიეროს იმის განცდა, რომ კანონის ბუნება შეუცნობელი და მიუწვდომელია.⁶³ იგი შესაძლებლობას იძლევა, შეკითხვა დაისვას კანონის, როგორც სოციალური არტეფაქტის, ბუნების შესახებ. ადამიანებს, რომლებსაც არ გააჩნიათ წდომა სამართლის სისტემის შიდა მხარეზე, უჩნდებათ მოთხოვნილება, იცოდნენ, თუ როგორია სამართლებრივი სისტემის მუშაობის შინაგანი მექანიზმი. მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ არ მიუთითა კავკაზე ანდა მის „პროცესზე“, ამერიკული და ბრიტანული სასამართლოებისგან განსხვავებით. ლიტე-

⁶¹ Kokott, Sobotta, 2012, 7.

⁶² იქვე, 4.

⁶³ Mason, 2014, 4.

რატურული წყარო, რა თქმა უნდა, მოკლებულია სამართლებრივ ძალას, მაგრამ ის თვალსაჩინოდ და სიმბოლურად განასახიერებს ბუნდოვან და გონებით მიუწვდომელი სამართლებრივი ბიუროკრატიის ბუნდოვან პროცედურებს, რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება იმ პრინციპებს, რომლებსაც სამართალი ემყარება.⁶⁴

ცნობილია კადის ორი საქმე: კადი 1⁶⁵ და კადი 2.⁶⁶ კადი 2-ის კვანძის გახსნა/ბედნიერი დასასრული მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს დიდ პალატაში შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც კაფკას „პროცესის“ დისნეფიკაცია.⁶⁷ მაგრამ კადის საქმის მხოლოდ ბედნიერი დასასრული არ არის ის, რისი თქმაც ამ საქმეს შეუძლია კაფკას შემოქმედების შუქზე. მართალია, კადის საქმესა და კ.-ის პროცესს შორის ბევრი მსგავსებაა, მაგრამ შესაძლებელია მათგან კონტრასტული დასკვნებიც გამომდინარეობდეს. თუკი ადამიანი კაფკას მხატვრულ აღწერებს ჩავუღრმავდება, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იმაზე, თუ როგორ ეძლევა თავიანთ გამოცდილებაში სამართალი იმ ხალხს, რომელსაც არ გააჩნია პრივილეგია, რომ წარმოდგენა ჰქონდეთ სამართლის სისტემის შინაგან მუშაობაზე. სწორედ ამ მომენტს, თუ როგორ აღიქვამს „პროცესში“ სამართალს არაიურისტი, არ ითვალისწინებენ სამართლის თეორეტიკოსები იქამდე, ვიდრე ეს არ აშკარავდება ისეთი საქმეების სახით, როგორიც კადის საქმეა. აქ, სულ ცოტა, ორი მომენტი მნიშვნელოვანი: 1. სამართალს აქვს შინაგანი უნარი, რათა „თავი დაიხსნას“ რთული გარემოებებიდან; 2. ადამიანისთვის ცხადი ხდება სამართლისთვის დამახასიათებელი შეუმეცნებლობა და მიუღწევ-

⁶⁴ იქვე 6.

⁶⁵ Kadi and Al Barakaat International Foundation v Council and Commission [CJEU], C-402/05 P and C-415/05 P, 3 September 2008.

⁶⁶ European Commission and Others v Yassin Abdullah Kadi [CJEU], C-584/10 P, C-593/10 P and C-595/10 P, 18 July 2013.

⁶⁷ იქვე.

ლობა მათთვის, ვინც მას ემორჩილება. კანონი აწესრიგებს ქცევებს როგორც *ex ante* მისი სტანდარტების დადგენით, ისე *ex post* სამართლო გადაწყვეტილებით. კანონი განიცდება კაფკას „პროცესში“ აღწერილის მსგავსად და რეალურ ცხოვრებაში შემოდის კადის საქმის სახით.⁶⁸ მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ კადის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით წამოჭრა სამართლის თეორიის, კონსტიტუციური სამართლისა და საერთაშორისო სამართლის როგორც არსებითი ისე პროცედურული საკითხები.⁶⁹ კადის საგამ აჩვენა ის, თუ როგორ უნდა მოხდეს ევროპის სამართლებრივი სივრცისთვის გარე სამართლებრივი ნორმების „ინტერნალიზება“, ევროკავშირის ავტონომიური სამართლის სისტემის ჩამოყალიბება. გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია სწორედ იმ იურიდიული შედეგებით, რომლებიც მისგან გამომდინარეობს.⁷⁰

IV. დასკვნა

კაფკა ხატავს სამართლის ირაციონალურ სისტემას. მიუხედავად იმისა, რომ „პროცესის“ პროტაგონისტის, კ.-ის აზრით, სასამართლო სისტემა უნდა იყოს პატიოსანი, პროგნოზირებადი და რაციონალური, მან თავის თავზე იწვნია სამართლის ირაციონალური სისტემა, მისი თვითნებობა და გონებისთვის მიუწვდომლობა. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა ემყარებოდეს რაციონალური არჩევანის თანაზიარ ღირებულებებს. ინდივიდუალურ მოსამართლეებს სამართლის სისტემა უნდა აძლევდეს თავიანთ გადაწყვეტილებებში რაციონალური არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღების რაციონალური პროცესისადმი თავიანთი ერთგულების გამოხატვის საშუალებას.

⁶⁸ Ley, 2006, 6.

⁶⁹ Martinico, 2014, 163.

⁷⁰ იქვე.

საინტერესოა ის, რომ თითქმის ყველა ექსპლიციტური წყარო, რომელიც მოხსენიებულია იურიდიულ აზრებში, ტრადიციული ლეგალური წყაროა, ე.ი. საქმეები, აქტები და მეორეული მასალა. ზოგჯერ გამოყენებულია არატრადიციული წყაროები, მაგალითად, მხატვრული ლიტერატურა. თანამედროვე მოსამართლეებს შეუძლიათ თავიანთი თავი დაინახონ „პროცესის“ ფიქციურ სამართლებრივ პროცედურებში. მეორე მხრივ, არც „პროცესი“ და კაფკას არც სხვა სამართლის რეცეფციაზე დაწერილი ნაწარმოები, როგორც მხატვრული გამოწვლილი, არც სამართლებრივ პრეცედენტად გამოდგება და არც იურიდიულ გადაწყვეტილებათა საფუძვლად.

აღსანიშნავია, რომ „პროცესის“ მოტივები დღემდე გამოიყენება სამართლის დისკურსში, როგორც სამართლის ირაციონალურობისა და ბიუროკრატიული აბსურდის მეტაფორა. ამერიკულ და ევროპულ სასამართლო არგუმენტაციაში კაფკას ტექსტი ხშირად ჩნდება იმ შემთხვევებში, როცა მსჯელობა უკავშირდება სამართლის ფორმალიზმის, ინსტიტუციური თვითნებობისა და ინდივიდის უძლურების პრობლემებს. თანამედროვე ტენდენციაა კაფკას გამოყენება როგორც სიმბოლური პარალელისა სასამართლო სისტემის გაუმჭირვალობისა და ადამიანის ღირსების დაკნინების თემატურ კონტექსტში. შედეგად, „პროცესი“ იქცა არა იურიდიულ, არამედ კულტურულ-ფილოსოფიურ ინსტრუმენტად, რომელიც ამდიდრებს სამართლის ეთიკურ და ჰერმენევტიკულ გააზრებას.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- Dorf M. C., The Supreme Court's Most Kafkaesque Decision: Penalizing a Criminal Defendant for Relying on a Court's Official Statement of the Due Date for His Habeas Corpus Appeal, 2007, <<https://supreme.findlaw.com/legal-commentary/the-supreme-courts-most-kafkaesque-decision-penalizing-a-criminal-defendant->

[for-relying-on-a-courts-official-statement-of-the-due-date-for-his-habeas-corpus-appeal.html](#)> [30.08.2025]

- Edwards I., The Essence of “Kafkaesque”, The New York Times, 1991, 1. <<http://www.nytimes.com/1991/12/29/nyregion/the-essence-of-kafkaesque.html?pagewanted=all>> [22.08.2025]
- Figueiredo De Oliveira R. H., Kafka as a Criminalist: From Literary Fiction to Criminal Ceality, Translated by F. Zobaran, Revista Internacional de Direito e Literatura Vol. 3, No. 2, 2017
- Finet S., Franz Kafka’s Trial as Symbol in Judicial Opinions, Legal Studies Forum, Vol. 12, No. 1, 1988
- Flood A., Kafkaesque: A Word so Overused It Has Lost All Meaning?, 2016, <<https://www.theguardian.com/books/booksblog/2016/may/18/kafkaesque-a-word-so-overused-it-has-lost-all-meaning>> [22.08.2025]
- Kokott J., Sobotta Chr., The Kadi Case – Constitutional Core Values and International Law – Finding the Balance?, The European Journal of International Law, Vol. 23, No. 4, 2012
- Ley I., Legal Protection against the UN-Security Council between European and International Law: A Kafkaesque Situation?, German Law Journal, Vol. 8, No. 6, 2006
- Martinico G., The Autonomy of EU Law: A Joint Celebration of Kadi II and Van Gend en Loos, in: Kadi on Trial, A Multifaceted Analysis of the Kadi Trial, Edited by M. Avbelj, F. Fontanelli, G. Martinico, Routledge Taylor and Francis Group, London and New York, 2014
- Mason L., The Intractably Unknowable Nature of Law: Kadi, Kafka and the Law’s Competing Claims to Authority, Routledge, 2014
- Posner R., Law and Literature, 3rd Ed., Harvard University Press, 2009
- Potter P. B Jr., Ordeal by Trial: Judicial References to the Nightmare World of Franz Kafka, The University of New Hampshire Law Review, Vol. 3, No. 2, 2005
- Teubner G., The Law before Its law: Franz Kafka on the (Im)possibility of Law’s Self-reflection, Cambridge University Press, **2019**

THE “KAFKAESQUE” DIMENSION: FROM LITERATURE TO LAW

LUKA BARAMIDZE

Ph.D. in Law, Grigol Robakidze University

 <https://orcid.org/0000-0002-7779-2195>

Abstract

The paper examines the semantic and functional transformation of the term “Kafkaesque,” tracing its evolution from a literary concept into a notion applicable within the legal field. It treats this transformation as a natural development and explores the connections between literature and law, framing the study as an interdisciplinary inquiry. The research focuses on the potential of literary narratives to critically illuminate legal reality. In this context, “Kafkaesque” is not merely a metaphor for describing legal absurdity, but a powerful tool for critiquing systems of justice and a standard for their evaluation. The term reveals the dehumanizing tendencies within existing judicial structures and indicates pathways for their rehumanization.

Keywords: Kafkaesque; Law and Literature; Der Process; Kafka.